

ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის  
N4 ბინაზე, მოქალაქე გივი ხელაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გივი ხელაძის განცხადება /2013 წლის 25.09 №-9843/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N4 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გივი ხელაძეს /პირადი N60001052395/.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N8 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე, საერთო ფართობი 36,38 კვ.მ /საცხოვრებელი ფართობი 16,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 20,38 კვ.მ./ მოქალაქე გივი ხელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე გ.შარაბიძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე